ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3

31 იანვარი 2012 წელი ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი" დირექტორის ოლეგი კაკურიას სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, დუმბაძის N61; ს/კ 412682119; ტელ: 0431243001) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შ.პ.ს „ანტარესი" დირექტორის ვალერიან გაბრიჩიძის სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას N60; ს/ნ 412671032; (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ააიპ "ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისათვის" დანართი N1-ში მითითებული საკვები პროდუქტების მიწოდება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 14 523,78 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

1.2 მოსაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიერ მოსაწოდებელი, ან მოწოდებულ საქონელზე კონტროლს განახორციელებს ააიპ "ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის" შესყიდვების კოორდინატორი კახაბერ აბჟანდაძე.

2.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მიწოდების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მიწოდებისათვის გაწევის ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს.

3. გარანტია

3.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდებს მაღალი ხარისხის საქონელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით, ხელშეკრულებაზე თანდართული ცხრილის შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო
4.3 ანგარიშსწორების ვადაა საქონლის მიწოდების დამადასტურებელი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღე.
4.4 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

5 .საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსრულებელმა შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მისამართზე დუმბაძის N61 და ავტომშენებლის N38.

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2012 წლის 01 თებერვლიდან 2012 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" საქონლის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2012 წლის 20 თებერვლამდე.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდებისას საქონელს თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია. მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელს გადასცემს ერთდროულად ან ეტაპობრივად, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.
6.3 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადებით.
6.4 სასაქონლო ზედნადებზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.
6.5 საქონლის გადაცემის დღედ მიიჩნევა სასაქონლო ზედნადებზე და/ან მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

7.ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.
7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.
7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.1.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

ოლეგი კაკურია	ვალერიან გაბრიჩიძე
ააიპ „ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის დირექტორი ს/კ 412682119; ქ.ქუთაისი, დუმბაძის N61;	შ.პ.ს „ანტარესი" დირექტორი ს/ნ 412671032 ქ.ქუთაისი ზ.გამსახურდიას N60
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი	დანაყოფის კოდი
1	**პური 300გრ** პური დამზადებული უნდა იყოს მაღალი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან. პურის გამოცხობისას დაცული უნდა იყოს ტექნოლოგიური პროცესი, რის შედეგადაც გამომცხვარი პური უნდა იყოს გარეგნულად კარგი შესახედაობის, არა დამწვარი, არ უნდა ქონდეს მჟავე გემო და შიგთავსი უნდა იყოს მოუზელავი ნაწილაკების გარეშე.თითოეული გამომცხვარი პურის წონა უნდა იყოს 300 გრამი	13132 ცალი	0,39 ლ	5121,48 ლარი	ქ.ქუთაისი	15811100
2	**მაკარონი** მაკარონი – მაღალი ხარისხის, დამზადებული მაღალი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან, ფერი მოყვითალო, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, მთელი მაკარონის წილობრივი მასა უნდა შეადგენდეს 100%–ს, დაფასოებული უნდა იყოს 5–20 კგ–იან ყუთებში ან ტომრებში, შეფუთული ქარხნული წესით, შესაბამისი მარკირებით, მინიშნებული ვარგისიანობის ვადით და შემადგენლობით.	234 კგ	1,8 ლ	421,2 ლარი	ქ.ქუთაისი	15851100
3	**შაქარი** უმაღალესი ხარისხის, თეთრი ფერის, დაფასოებული უნდა იყოს 50კგ ტომრებში. მინიშნებული უნდა იყოს დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა.	205კგ	2,1ლ	430,5ლარი	ქ.ქუთაისი	15831000
4	**მარილი** უმაღალესი ხარისხის, უცხო ნაწილაკებისა და მინარევების გარეშე, დაფასოვებული1-კგ პაკეტებში, შესაბამისი მარკირებით.	56კგ	0,5ლ	28 ლარი	ქ.ქუთაისი	15872400

5	**ბალახები და სუნელი** მაღალი ხარისხის, მშრალი.ოხრახუში ქინძი ცერეცო (მოთხოვნის შესაბამისად)	130კგ	6ლ	780ლარი	ქ.ქუთაისი	15872300
6	**სანელებელი** მაღალი ხარისხის	9,1კგ	11ლ	100,1ლარი	ქ.ქუთაისი	15872200
7	**ხორბლის ფქვილი** მაღალი ხარისხის	50კგ	1ლ	50 ლარი	ქ.ქუთაისი	15612100
8	**ხორცი** გაყინული საქონლის/უძვლო I კატეგორიის ხორცი, ვარდისფერი, არასაიამოვნო სუნის გარეშე. საქონლის ხორცის მოწოდებისას დაცული უნდა იქნას სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები	325კგ	9ლ	2925 ლარი	ქ.ქუთაისი	1511100,
9	**ხორცი ფრინველის** ქათმის ბარკლები მშარლი გაყინვით. პროდუქციის მოწოდებისას დაცული უნდა იქნას სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები	195კგ	4,5ლ	877,5 ლარი	ქ.ქუთაისი	15112000
10	**თევზი** თევზი გაყინული უთავო – უმაღლესი ხარისხის, , არასასიამოვნო სუნის გარეშე. გაყინული თევზი საშუალო წონით 05კგ-დან–500 2კგ-მდე	293კგ	6ლ	1758 ლარი	ქ.ქუთაისი	15200000
11	**ტომატი** ფერი წითელი, სიმჟავის გარეშე. კონსისტენცია ერთგვაროვანი. დაფასოებული უნდა იყოს 500–1000 გრამიან თუნუქის უჟანგავ ან მინის ჭურჭელში შესაბამისი მარკირებით. მინიშნებული უნდა იყოს შემადგენლობა. დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა.	114 ქილა (800გრ)	3,5ლ	399 ლარი	ქ.ქუთაისი	15331425
12	**ზეთი** უმაღლესი ხარისხის რაფინირებული, ფერი მოყვითალო, დაფასოებული უნდა იყოს 0,92 ლიტრიან მინის ან პოლიეთილენის უჟანგავ ქილებში შესაბამისი მარკირებით. მინიშნებული ვადა უნდა იყოს დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა.	205 ბოთლი (920გრ)	3,4 ლ	697 ლარი	ქ.ქუთაისი	15421000
13	**კვერცხი** პირველი კატეგორია, ფერი თეთრი,	1950 ცალი	0,28ლ	546 ლარი	ქ.ქუთაისი	3142500

	მექანიკური დაზიანების გარეშე. თითოეული კვერცხი უნდა იყოს შესაბამისი მარკირებით-მისი გამოშვების თარიღით.					
14	შედედებული რძე მაღალი ხარისხის მინის ან თუნუქის ქილებში ვარგისიანობის თარიღის მითითებით	195 ქილა (400 გრ)	2ლ	390ლარი	ქ.ქუთაისი	15511600,
15	სულ ჯამი			14 523,78		

მიმწოდებლის დასახელება:

ბეჭედი:

არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის
მადლიერების სახლი“

ქუთაისი, დუმბაძის ქ. № 59/61
№ 02-02

☎ 243001
„02“ „02“ 2012წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

.თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს. “მადლიერების სახლს” შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2011 წლის 29 დეკემბრის №13 ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებულია განსაკუთრებით გაჭირვებული პირების ყოველდღიური კვება (650 ბენეფიციარი) 2012 წლის 3 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

აღნიშნული ღონისძიების გაგრძელების მიზნით 2012 წლის 18 იანვარს საკრებულოს № 241 განკარგულების საფუძველზე დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ქ.ქუთაისის მადლიერების სახლი” რომელიც სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2012 წლის 27 იანვარს, ამის შემდეგ ჩვენს მიერ 2012 წლის 30 იანვარს მოხდა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისიტემაში შემსყიდველად დარეგისტრირება ზემოთმოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე ახლადდარეგისტრირებული ა.ა.ი.პ “ქ.ქუთაისის მადლიერების სახლი” ვერ შეძლებს ბენეფიციართა მომსახურეობას 2012 წლის პირველი თებერვლიდან ვინაიდან გამარტივებული ელექრონული ტენდერის გამოცხადება (რაც აუცილიებელია იმისათვის რომ აიპიმ განაგრძოს მომსახურეობის გაწევა) საჭიროებს გარკვეულ ვადას, მაქსიმუმ ოც დღეს.

გამომდინარე პროგრამის შინაარსიდან და პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა კატეგორიის სიმძიმიდან (პროგრამის შეწყვეტა გამოიწვევს განსაკუთრებულად მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ადამიანთა შიმშილს) მოვითხოვეთ ნებართვა ქალაქის საკრებულოსაგან, რათა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარებამდე პროგრამის განხორციელების უწყვეტობის მიზნით, დაერთო ნება განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის ღირებულება შეადგენს 18 362 ლარს რაც საჭიროა 20 დღის საკვები პროდუქტების შესაძენად 2012 წლის 01 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

აღნიშნულის საფუძველზე მივიღეთ წერილობითი ნებართვა ქალაქის საკრებულოსაგან გამარტივებული ტენდერის ჩასატარებლად, რომელიც თან ერთვის წერილს (დანართი1)

პატივისცემით,
ა.ა.ი.პ „ქ.ქუთაისის მადლიერების სახლის“
დირექტორი: ოლეგი კაკურია

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ადგილი	დანაყოფის კოდი
1	ბრინჯი	228კგ	1.5ლ	342 ლარი	ქ.ქუთაისი	30192151,
2	კარტოფილი	488კგ	1.2ლ	488 ლარი	ქ.ქუთაისი	03212100
3	ლობიო	195კგ	3,5ლ	682,5 ლარი	ქ.ქუთაისი	03221211
4	ხახვი	159კგ	1ლ	159 ლარი	ქ.ქუთაისი	03221113
5	ნიორი	26კგ	3ლ	78 ლარი	ქ.ქუთაისი	03221110
6	სტაფილო	39კგ	0,7ლ	27,3 ლარი	ქ.ქუთაისი	03221112
7	კომბოსტო	195კგ	0,5ლ	97,5 ლარი	ქ.ქუთაისი	03221410
8	ჭარხალი	19,5კგ	0,7ლ	13,65 ლარი	ქ.ქუთაისი	03221111
9	ვაშლი	650კგ	1,8ლ	1170 ლარი	ქ.ქუთაისი	03222321
10	ხორცი	325კგ	9ლ	2925 ლარი	ქ.ქუთაისი	1511100,
11	ხორცი ფრინველის	195კგ	4,5ლ	877,5 ლარი	ქ.ქუთაისი	15112000
12	თევზი	293კგ	6ლ	1758 ლარი	ქ.ქუთაისი	15200000
13	ტომატი	114 ქილა (800გრ)	3,5ლ	399 ლარი	ქ.ქუთაისი	15331425
14	ზეთი	205 ბოთლი (920გრ)	3,4 ლ	697 ლარი	ქ.ქუთაისი	15421000
15	კვერცხი	1950 ცალი	0,28ლ	546 ლარი	ქ.ქუთაისი	3142500
16	პური 300გრ	13132 ცალი	0,39 ლ	5121,48 ლარი	ქ.ქუთაისი	158111000
17	მაკარონი	234 კგ	1,8 ლ	421,2 ლარი	ქ.ქუთაისი	15851100
18	შაქარი	205კგ	2,1ლ	430,5ლარი	ქ.ქუთაისი	15831000
19	მარილი	56კგ	0,5ლ	28 ლარი	ქ.ქუთაისი	15872400
20	ბალახები და სუნელი	130კგ	6ლ	780ლარი	ქ.ქუთაისი	15872300
21	სანელებელი	9,1კგ	11ლ	100,1ლარი	ქ.ქუთაისი	15872200
22	ხორბლის ფქვილი	40 კგ	1ლ	40ლარი	ქ.ქუთაისი	15612100
23	შედედებული რძე	195 ქილა (400 გრ)	2ლ	390ლარი	ქ.ქუთაისი	15511600,

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 0106533

31 01 2012 წ.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ამირან ხვადაგიანს

ბატონო ამირან,

თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს. „მადლიერების სახლს" შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2011 წლის 29 დეკემბრის №13 ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებულია განსაკუთრებით გაჭირვებული პირების ყოველდღიური კვება (650 ბენეფიციარი) 2012 წლის 3 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

აღნიშნული ღონისძიების გაგრძელების მიზნით 2012 წლის 18 იანვარს საკრებულოს № 241 განკარგულების საფუძველზე დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქ.ქუთაისის მადლიერების სახლი" რომელიც სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2012 წლის 27 იანვარს, ამის შემდეგ ჩვენს მიერ 2012 წლის 30 იანვარს მოხდა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემსყიდველად დარეგისტრირება. ზემოთმოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე ახლადდარეგისტრირებული ააიპ "ქ.ქუთაისის მადლიერების სახლი" ვერ შეძლებს ბენეფიციართა მომსახურეობას 2012 წლის პირველი თებერვლიდან, ვინაიდან გამარტივებული ელექრონული ტენდერის გამოცხადება (რაც აუცილებელია იმისათვის რომ ააიპ-იმ განაგრძოს მომსახურეობის გაწევა) საჭიროებს გარკვეულ ვადას, მაქსიმუმ ოც დღეს.

გამომდინარე პროგრამის შინაარსიდან და პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა კატეგორიის სიმძიმიდან, (პროგრამის შეწყვეტა გამოიწვევს განსაკუთრებულად მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ადამიანთა შიმშილს) აუცილებელია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარებამდე პროგრამის განხორციელების უწყვეტობის მიზნით, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად შ.პ.ს. "ანტარესთან" (ს/ნ412671032) და შ.პ.ს. "NG-2011" (442569114) რომლის ღირებულება იქნება ჯამში 18 362 ლარი, რაც საჭიროა 20 დღის საკვები პროდუქტების შესაძენად 2012 წლის 01 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით

გთხოვთ თქვენს თანხმობას, რათა ტენდერის დასრულებამდე, პროგრამის განხორციელების უწყვეტობის მიზნით გავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები.

გიორგი თევდორაძე
ქალაქ ქუთაისის მერი

37 01 2144 12

United Cities and Local Governments
Cites et Gouvernements Locaux Unis
Ciudades y Gobiernos locales Unidos

რუსთაველის გამზ. №3 4600. ქუთაისი, საქართველო.
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54, ფაქსი: (+995 431) 24-69-62
3, Rustaveli av. 4600 Kutaisi, Georgia
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54, Fax: (+995 431) 24-69-62
www.Kutaisi.gov.ge interrelations@Kutaisi.gov.ge